საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/231 " 14 " დეკემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის ს. ლეჟავას თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4^1 პუნქტის შესაბამისად, სოფიო ლეჟავა 2018 წლის 18 იანვრიდან გამწესდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე–36^4 მუხლების შესაბამისად, 2018 წლის 18 იანვრიდან 2020 წლის 18 სექტემბრამდე პერიოდში სოფიო ლეჟავას შეფასების მიზნით განხორციელდა 6 დამოუკიდებელი შეფასება საბჭოს სამი მოსამართლე (თ. ონიანი; რ. ნადარაია; დ. გვრიტიშვილი) და სამი არამოსამართლე (ი. გელაშვილი; შ. ქადაგიძე; თ. ღვამიჩავა) წევრის მიერ. აღნიშნული შეფასებების შედეგად მოსამართლე აკმაყოფილებს კანონით დადგენილ კრიტერიუმებს. კერძოდ, ექვსივე წევრი მიიჩნევს, რომ მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მოსამართლე სოფიო ლეჟავას მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი შეადგენს 521 ქულას, რაც წარმოადგენდა ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (600 ქულა) 86,8%-ს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით (საბჭოს სრული შემადგენლობის მხარდაჭერით) „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4, 4^1 და 4^2 პუნქტების საფუძველზე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე სოფიო ლეჟავა 2021 წლის 18 იანვრიდან თანამდებობაზე გამწესდეს უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე